საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 767 2019 წლის 5 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღისა და საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღის – 9 აპრილის აღნიშვნასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გამოუყოს 63 394 (სამოცდასამი ათას სამას ოთხმოცდათოთხმეტი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე